პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №

2024 წლის ----- ივნისი

ქ. წყალტუბო

ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრისათვის " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ავტომანქანის მარკა: IVECO; მოდელი: EUROCARGO ML180 E25; საიდენტ. ნომერი ZCFA51TJ002748762; სახ. ნომ. NT 341 NN სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 14 ივნისის №48-4824166167 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრისათვის " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ავტომანქანის მარკა: IVECO; მოდელი: EUROCARGO ML180 E25; საიდენტ. ნომერი ZCFA51TJ002748762; სახ. ნომ. NT 341 NN.სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106[1]-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრისათვის " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ავტომანქანის მარკა: IVECO; მოდელი: EUROCARGO ML180 E25; საიდენტ. ნომერი ZCFA51TJ002748762; სახ. ნომ. NT 341 NN.სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824166167**
თარიღი: **14/06/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" დირექტორის წერილი (თან ერთვის), რომელიც ითხოვს სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ავტომანქანა:

-ავტომანქანის მარკა: IVECO; მოდელი: EUROCARGO ML180 E25; საიდენტ. ნომერი ZCFA51TJ002748762; სახ. ნომ. NT 341 NN.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრს'' სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა:

-ავტომანქანის მარკა: IVECO; მოდელი: EUROCARGO ML180 E25; საიდენტ. ნომერი ZCFA51TJ002748762; სახ. ნომ. NT 341 NN.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
"წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
დასუფთავების ცენტრი"

წერილის ნომერი: **14-482416698**
თარიღი: **14/06/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

გთხოვთ, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრს" (ს/კ 421283104) საკუთრებაში გადმოსცეთ ერთი ერთეული სპეციალიზებული ავტომანქანა IVECO EUROCARGO ML180E25 სახელმწიფო ნომრით NT341NN .

დავით იობიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი-
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. წყალტუბო ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N2ა ტელ: 577 61 68 72
ელ.ფოსტა: WYALTUBODASUFTAVEBA@GMAIL.COM

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

14 ივნისი, 2024 წელ

ერთი მხრივ, შპს "ჯი-თი გრუპ" (შემდგომში „მიმწოდებელი"), საიდენტიფიკაციო კოდი: 200119923 წარმოდგენილი ლოჯისტიკის მენეჯერის - ვლადიმერ კობერიძის სახით და მეორე მხრივ, წყალტუბ მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), საიდენტიფიკაციო კოდი: 221274546, წარმოდგენილ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურ სახით, მხარეთა შორის 2023 წლის 25 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულე N214-ისა და კონსოლიდირებული ტენდერი - CON230000311-ის საფუძველზე, ვადგენთ წინამდებარე მიღებ ჩაბარების აქტს შემდეგზე:

1. 2024 წლის 12 ივნისს, მიმწოდებელმა გადასცა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო საკუთრებაში, საკუთრების უფლები ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1 (ერთი) ერთეული ნაგავმზიდი - (4X2) 15.5 - 16.5 მ3, მარკა/მოდელ IVECO EUROCARGO ML180E25, ვინ ნომერი: **ZCFA51TJ002748762.**
2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა - 396180 (სამას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ას ოთხმოცი) ლარ აღნიშნული თანხიდან 158472 (ას ორმოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდათორმეტი) ლარი უკ ანაზღაურებულია ავანსის სახით და ანაზღაურებას ექვემდებარება - 237708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდ რვა) ლარი.**
3. შემსყიდველმა შეამოწმა მიწოდებული საქონლის მდგომარეობა, აღნიშნავს მის შესაბამისობას ხელშეკრულები დადგენილი პირობებთან/მახასიათებლებთან და შენიშვნა ან პრეტენზია არ აქვს.
4. აქტი შედგენილია ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად, რომელსაც ხელი ეწერება შედეგი მხარეების მიერ:

„შემსყიდველი"
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური

„მიმწოდებელი"
შპს "ჯი-თი გრუპ"

_____ მალხაზ ჩხეიძე

_____ იონა ჯოჯუა

_____ მამუკა გელენიძე

_____ კობა გოგიძე

_____ ლევანი ბოკელავაძე

შპს „ჯი-თი გრუპ"

საიდენტიფიკაციო კოდი: 200119923

მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N216

საბანკო რეკვიზიტები:

სს „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE43BG0000000122211500

GT GROUP LLC

Digitally signed by GT GROUP LLC
Date: 2024.06.14 12:09:37 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №214 (კონსოლიდირებული ტენდერი CON230000311)

ქ. თბილისი 25 სექტემბერი 2023

ერთი მხრივ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია , წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის - გენადი ბალანჩივაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ - შპს „ჯი-თი გრუპ“, ს/კ: 200119923, წარმოდგენილი დირექტორის - თემურ უსტიაშვილი მიერ, შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი“, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ კონსოლიდირებული ტენდერის CON230000311 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 დეკემბრის №2221 განკარგულების "2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე", პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის (საქართველოს რეგიონებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტებისთვის ნაგავმზიდების სახელმწიფო შესყიდვის 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ი) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

1.7 „სატენდერო კომისია“ - "2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე", საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 დეკემბრის №2221 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 სატენდერო დოკუმენტაცია - კონსოლიდირებული ტენდერის (CON230000311) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული ნაგავმზიდ(ებ)ის (შემდგომში - ნაგავმზიდი) (CPV - 34100000) სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (CON230000311) სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ პარამეტრებს.

2.2. შესყიდვის ობიექტია 1 (ერთი) ერთეული ნაგავმზიდი.

2.3. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრება დანართი №1- ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 396,180.00 (სამას ოთხმოცდათექვსმეტი ათას, ას ოთხმოცი) ლარი.

3.2. ერთეული ნაგავმზიდის ღირებულებაა 396,180.00 (სამას ოთხმოცდათექვსმეტი ათას, ას ოთხმოცი) ლარი.

3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის ნაგავმზიდის მიწოდების უზრუნველყოფა მიმწოდებლის ხარჯებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა სახის გადასახადის, მოსაკრებლის ჩათვლით, მათ შორის, განბაჟებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის (შემსყიდველზე გადაფორმებისა და სტანდარტული ფასის სახელმწიფო სანომრე ნიშნების ჩათვლით) ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის, კერძოდ 1 (ერთი) ერთეული ნაგავმზიდის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 280 (ორას ოთხმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 მიღების დროს (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე), შესაბამისი ინსპექტირების განხორციელების ფარგლებში ნაგავმზიდზე გამოვლენილი ნებისმიერი წუნის/დეფექტის/ხარვეზის/დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში წუნის/დეფექტის/ხარვეზის/დაზიანების მქონე ნაგავმზიდი შეაკეთოს ავტორიზებულ/ლიცენზირებულ სერვისცენტრში ან მიწოდების საბოლოო ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღის განმავლობაში შეცვალოს ახლით წუნის/დეფექტის/ხარვეზის/დაზიანების მქონე ნაგავმზიდი. ამასთან, მიწოდების ნებისმიერი ვადის გადაცილებისთვის შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.

4.4. **ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა N25**

4.5 ნაგავმზიდის სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი ყველანაირი დეფექტი ან/დაზიანება უნდა გამოსწორდეს ავტორიზებულ/ლიცენზირებულ სერვისცენტრში შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.6 სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ნაგავმზიდის დაზიანებისას მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით განახორციელოს ნაგავმზიდის ტრანსპორტირება ავტორიზებულ/ლიცენზირებულ სერვისცენტრამდე შემსყიდველისშეტყობინებიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში.

4.7 სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მიმწოდებელი პასუხისმგებელია ნაგავმზიდის ნებისმიერი სახის ტექნიკურ დეფექტზე/ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ნაგავმზიდის შემადგენელი კომპონენტების წუნის გამო.

4.8 ნაგავმზიდის სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მისი შეკეთება უნდა განხორციელდეს პრეტენდენტის მიერ ტენდერში მითითებულ ავტორიზებულ/ლიცენზირებულ სერვისცენტრე(ებ)ში, რათა არ მოხდეს ნაგავმზიდის გარანტიის პირობების ცვლილება ან გარანტიიდან მოხსნა.

4.9 საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები ძალაშია 1 (ერთი) წელი სრულ ნაგავმზიდზე და არანაკლებ 2 (ორი) წელი ან 200 000 კილომეტრი (რომელიც უფრო ადრე დადგება) ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდები, გადაცემათა კოლოფი) და ნაგავშემკრები კონტეინერის ამწევ ჰიდრავლიკურ მექანიზმე), მიუხედავად ნაგავმზიდების შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა.

4.10. საგარანტიო პერიოდში ტექ-მომსახურების გაწევისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები და საცხებ-საპოხი მასალები უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) და მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული.

4.11. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია გადაწყვეტს, რომ შესყიდულ ნაგავმზიდზე დაამონტაჟოს ნებისმიერი დამატებითი მოწყობილობა/აღჭურვილობა, იგი ვალდებულია მიმართოს მიმწოდებელს აღნიშნულის თაობაზე წერილობითი ფორმით, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია მიმართვიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას სრული და ამომწურავი წერილობითი ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა სტანდარტების შესაბამისად და ნორმების დაცვით უნდა განხორციელდეს შესაბამისი დამატებითი მოწყობილობის/აღჭურვილობის მონტაჟი, რათა არ დაირღვეს საგარანტიო პირობები და ძალაში დარჩეს საგარანტიო მომსახურება. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი უარს განაცხადებს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი დამატებითი მოწყობილობის/აღჭურვილობის მონტაჟის თაობაზე, აღნიშნული უნდა განახორციელოს შესაბამისი დასაბუთებული წერილობითი ფორმით, შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.12. წინამდებარე ხელშეკრულების 4.12. და 7.3 „ვ" პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენა შესაძლებელია, როგორც ქართულ, ასევე უცხო ენებზე. დოკუმენტის უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული (ნოტარიულად დამოწმებული) თარგმანი ქართულ ენაზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა

და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. ქვეპუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე **უფლებამოსილია - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - ლოჯისტიკის მენეჯერი - ვლადიმერ კობერიძე.**

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

6.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის აუცილებელია 5.1 ქვეპუნქტში მითითებული მიღება ჩაბარების აქტი და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივი მიწოდების შესაბამისად, ამ ხელშეკრულების 6.1. პუნქტის გათვალისწინებით, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, 2024 წლის სახსრებით, მაგრამ არაუადრეს 2024 წლის 01 აპრილისა.

6.4. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 40%-ის ოდენობით. საავანსო ანგარიშსწორება შემსყიდველის მხრიდან მოხდება - აღნიშნული საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5. წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) და გამოუთხოვადი გარანტიის საფუძველზე.

6.6. წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 120 (ას ოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების საბოლოო ვადას.

6.7. ავანსის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსის სახით გადახდილი თანხის სრულად გამოქვითვის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტის გათვალისწინებით.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოებისა და მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მონიტორინგი. მათ შორის ნაგავმზიდ(ებ)ის მიწოდებამდე განახორციელოს მათი წინასწარი დათვალიერება მწარმოებელთან, შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან/და მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ საგარანტიო მომსახურების პერიოდში აღმოჩენილი ნაკლი/დეფექტი გამოასწოროს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში;

გ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;

დ) უზრუნველყოს ნაგავმზიდ(ებ)ის უკან გაწვევა იმ შემთხვევაში თუ ნაგავმზიდ(ებ)ის მწარმოებელი ქარხანა საწარმოო დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ნაგავმზიდ(ებ)ის უკან გაწვევის მიზნით;

ე) 7.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შემსყიდველისწარმომადგენლ(ებ)ის დაშვება მწარმოებელთან.

ვ) ქართულ ენაზე ნათარგმნი (ნოტარიულად დამოწმებული) 1 (ერთი) ერთეული შემოთავაზებული ნაგავმზიდის ექსპლუატაციის სახელმძღვანელო წარუდგინოს შემსყიდველს პირველივე მიწოდების დროს.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ნაგამზიდ(ებ)ის გარანტიის მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ყველანაირი დეფექტის ან/და დაზიანების გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების ვადას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, იმ ნაგამზიდ(ებ)ის ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით, რომლ(ებ)ზეც მოხდა ვადაგადაცილება.

8.2. ნაგამზიდ(ებ)ის მიწოდების ვადის დარღვევისას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული ნაგამზიდ(ებ)ის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.3. სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, საგარანტიო შემთხვევაში ნაგამზიდ(ებ)ის დაზიანებისას, ხელშეკრულების 4.6 პუნქტით გათვალისწინებული ტრანსპორტირების დროის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე ნაგამზიდ(ებ)ის ღირებულების 0.01 პროცენტის ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 8.1. - 8.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.002 პროცენტის ოდენობით.

8.5. ხელშეკრულების დარღვევისთვის გათვალისწინებული ნებისმიერი დაკისრებული სანქციის ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა არის 9,904.50 (ცხრა ათას ცხრაას ოთხი და 50/100) ლარი.

9.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადაა_08 ნოემბერი 2024 წლის ჩათვლით.

9.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (25 სექტემბერი 2023 წ. გარანტია N PE1057622-23).

9.4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში არუნდა იყოს მითითებული, რომ გარანტია მცირდება შესრულების პროპორციულად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (სატენდერო დოკუმენტაციის გათვალისწინებით), ხოლო საგარანტიო მომსახურებებთან (მათ შორის მათთან დაკავშირებულ სანქციებთან) დაკავშირებით ხელშეკრულებისმოქმედება გრძელდება საგარანტიო ვადების ამოწურვამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა

ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გამოწვეულიაფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო და მხარეები შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთკომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

13. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე.

13.2. კონტროლის აქტში მითითებული უნდა იყოს აღმოჩენილი დეფექტი/ნაკლი.

13.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო კავშირით შეატყობინოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის ან/და ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს მისი აღმოფხვრა ან შეცვლა მიმწოდებლის ხარჯით.

13.4. კონტროლის აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს, ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი, ხოლო შესაბამისობის შემთხვევაში - ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

13.5. გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

13.6. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური.**

14. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

14.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და (CON230000311) კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია დასაბუთებულად მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შემსყიდველის მომართვის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, უფლებამოსილია იმსჯელოს კონკრეტული ხელშეკრულების ან/და კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის თაობაზე.

14.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია მიმართოს გარანტს და მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების უზრუნველყოფის გარანტიით გათვალისწინებული თანხის გამოთხოვა.

14.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობისშესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი“

შპს „ჯი-თი გრუპ“

ს/კ: 200119923

მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #216

საბანკო რეკვიზიტები:

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა: GE43BG0000000122211500

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ხაზინის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი №GE24NB0330100200165022

საიდენტიფიკაციო კოდი: 221274546

ელექტრონული ფოსტა: sheskidvebitsk1@gmail.com / tskaltubo1@gmail.com

GT GROUP LLC

Digitally signed by GT GROUP LLC
Date: 2023.09.25 17:38:22 +04'00'

Genadi Balanchivadze 53001013641

Digitally signed by Genadi Balanchivadze
Date: 2023.09.25 17:13:59

თემურ უსტიაშვილი
დირექტორი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი
გენადი ბალანჩივაძე

"ფასების ცხრილი" (ცხრილი #1)

№	მუსიდიდის ობიექტის დასახელება	მუშადგენლები	რაოდენობა	ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება (ზდგრული)	ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება (ლარი)	ბრენდისა და მოდელის დასახელება	წარმოების ქვეყანა	200 000 კმ-ზე ერთეული ნაგავმზიდის გეგმიური მომსახურების ღირებულება (ლარი)	ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება ფლობის გათვალისწინებით (ლარი)	ჯამური ღირებულება ფლობის გათვალისწინებით (ლარი)	საგარანტიო ვადა (არანაკლებ)	კომენტარი
1	ნაგავმზიდი (4X2) 15.5 - 16.5 მ3	შასი	32	396,184.00	396,180.00	ბრენდი Iveco მოდელი Eurocargo ML180E25	იტალია	31,520.00	427,700.00	13,686,400.00	1 (ერთი) წელი სრულ ნაგავმზიდზე და 2 (ორი) წელი ან 200 000 კილომეტრი (რომელიც უფრო ადრე დადგება) ძირითად აგრეგატებზე (მრავალ, ხიდები, გადაცემათა კოლოფი) და ნაგავმჭიმები კომპონენტების ამწევ ჰიდრავლიკურ მექანიზმზე, გარდა სწრაფმავალი ნაწილებისა და მასალებისა (მაგალითად: შუბი, ფილტრები, ხუნდები, შუბის საბჯენები ჯაჭვისები, ელექტრომცველები)	ნაგავმზიდის და მისი ფლობის ღირებულება წარმოდგენილია დღგ-ს ჩათვლით;
		დგარი				ბრენდი EFE მოდელი EFE204	თურქეთი					

ნაგავმზიდის გეგმიური მომსახურების ღირებულების ცხრილი (ცხრილი #2)

IVECO

IVECO EUROCARGO ML180E25 4X2 E5 - პერიოდული მომსახურების რეგლამენტი

#	საოპერაციო წამლების დასახელება	ბრენდი- მოდელი	მასალიანობელი	ერთ ეურზე მუშაკადული საჭიროების რაოდენობა	ერთ.ფასი	სერვისის ღირებულება	ჯამი	20000 კმ	40000 კმ	50000 კმ	60000 კმ	80000 კმ	100000 კმ	120000 კმ	140000 კმ	150000 კმ	160000 კმ	180000 კმ	200000 კმ	ჯამი
1	ძრავის ზეთი	Castrol AS	ლიტრი	13	38.00	46.00	540.00	540.00	540.00		540.00	540.00	540.00	540.00	540.00		540.00	540.00	540.00	5,400.00
2	ძრავის ზეთის ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	160.00	46.00	206.00	206.00	206.00		206.00	206.00	206.00	206.00	206.00		206.00	206.00	206.00	2,060.00
3	საწვავის ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	140.00	46.00	186.00	186.00	186.00		186.00	186.00	186.00	186.00	186.00		186.00	186.00	186.00	1,860.00
4	საწვავის დამბალი ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	180.00	46.00	226.00	226.00	226.00		226.00	226.00	226.00	226.00	226.00		226.00	226.00	226.00	2,260.00
5	ჰაერის ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	600.00	28.00	628.00		628.00			628.00		628.00			628.00		628.00	3,140.00
6	წამყვანი ხიდის ზეთი მორეკვებით	Castrol AS	ლიტრი	13	28.00	28.00	392.00		392.00			392.00		392.00			392.00		392.00	1,960.00
7	ანტიკოროზიული კოლოფის ზეთი	Castrol AS	ლიტრი	10	70.00	24.00	724.00					724.00					724.00			1,448.00
8	ძრავის ღვეული	IVECO S.P.A	ცალი	1	220.00	144.00	364.00					364.00					364.00			728.00
9	ხუბლის ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	180.00	36.00	216.00								216.00					216.00
10	ხუბლის დამბალი ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	50.00	36.00	86.00								86.00					86.00
11	საჭის ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	230.00	48.00	278.00			278.00			278.00			278.00			278.00	1,112.00
12	ჯერ მბრუნი ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	230.00	44.00	274.00					274.00					274.00			548.00
13	დამაჭერებითი ანამთობლების საწვავის ფილტრი	IVECO S.P.A	ცალი	1	35.00	44.00	79.00					79.00					79.00			158.00
14	ძირითადი საპოხი	Castrol AS	კილოგრამი	0.5	40.00	20.00	20.00	20.00	20.00		20.00	20.00		20.00	20.00		20.00	20.00	20.00	200.00
						მომსახურების ჯამი		1,178.00	2,198.00	278.00	1,178.00	3,639.00	1,456.00	2,198.00	1,480.00	278.00	3,639.00	1,178.00	2,476.00	21,176.00

EFE204 - პერიოდული მომსახურების რეგლამენტი

#	საოპერაციო წამლების დასახელება	ბრენდი- მოდელი	მასალიანობელი	ერთ ეურზე მუშაკადული საჭიროების რაოდენობა	ერთ.ფასი	სერვისის ღირებულება	ჯამი	5 000 კმ	50 000 კმ	100 000 კმ	150 000 კმ	200 000 კმ	ჯამი
1	ძირითადი საპოხი	Castrol AS	კილოგრამი	1	40.00	-	40.00	40.00	40.00	40.00	40.00	40.00	200.00
2	ჰიდრავლიკის ზეთი	Castrol AS	ლიტრი	160	22.00	48.00	3,568.00			3,568.00		3,568.00	7,136.00
3	ჰიდრავლიკის ზეთის უკუქცევის ფილტრი	EFE Endustri ve Tic. A.S.	ცალი	1	360.00	16.00	376.00	376.00	376.00	376.00	376.00	376.00	1,880.00
4	ჰიდრავლიკის ზეთის შეწოვი ფილტრი	EFE Endustri ve Tic. A.S.	ცალი	1	360.00	16.00	376.00	376.00		376.00		376.00	1,128.00
						მომსახურების ჯამი		792.00	416.00	4,360.00	416.00	4,360.00	10,344.00

* წარდგენილი სერვისის მომსახურების განფასება ძალაშია ნაგავმზიდის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე.

GT GROU PLLC

Digitally signed by GT GROUP LLC
Date: 2023.08.22 17:11:01

	ტექნიკური მახასიათებლები და აღწერილობა		პრეტენდენტის მიერ შესავსები ინფორმაცია
1	გამოშვების წელი	არანაკლებ 2023 წლის	არანაკლებ 2023 წლის
2	ფერი	ნებისმიერი (ერთ ფერის)	თეთრი
3	ა/მანქანის დასაშვები აბსოლიური წონა (კგ)	არანაკლებ 16 000 და არაუმეტეს 19 000	18 000 კგ
4	შასის წონა	არანაკლებ 4 500 და არაუმეტეს 7 000	4640 კგ
5	დგარის წონა (+-200 კგ)	არანაკლებ 5 500 და არაუმეტეს 6 900	6800 კგ
6	სიგრძე (მმ)	არანაკლებ 8 000 და არაუმეტეს 9 000	8000 მმ
7	სიგანე (მმ)	არანაკლებ 2 200 და არაუმეტეს 2 600	2400 მმ
8	სიმაღლე (მმ)	არანაკლებ 2 800	2900 მმ
9	საჭის მდებარეობა (სავალდებულო მოთხოვნაა)	მარცხენა საჭიანი	მარცხენა
10	სატრანსპორტო საშუალების ტიპი (vehicle type) (რომელიც მითითებული იქნება UN/ECE R29 რეგულაციასთან შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტში)		შეესაბამება
	ძრავის ტექნიკური მახასიათებლები		
11	საწვავის ტიპი	დიზელი	დიზელი
12	საწვავის ავზის მოცულობა (ლიტრი)	არანაკლებ 200	200 ლიტ
13	ძრავის მოცულობა (სმ3)	არანაკლებ 5800 და არაუმეტეს 7800	5880 სმ3
14	ძრავის სიმძლავრე (H.P)	არანაკლებ 250	252 ცხ.ძ
15	ემისიის სტანდარტი	არანაკლებ ევრო 5	ევრო 5
16	ცილინდრების რაოდენობა	არანაკლებ 6	6
	ტრანსმისიის ტექნიკური მახასიათებლები		
17	გადაცემათა კოლოფი	მექანიკური (გაუმჯობესებულ ვარიანტად ჩაითვლება ავტომატური ან ნახევრად ავტომატური კოლოფის შეთავაზება)	მექანიკური
18	გადაცემათა რაოდენობა	არანაკლებ 9 + 1	9+1
19	გადაბმულობა - პნევმო-ჰიდრავლიკური გათიშვით	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
20	ავტომობილის თვლების ფორმულა	4x2	4x2
21	სამუხრუჭე სისტემა ABS	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
22	ძრავის მუხრუჭი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
23	საჭის გამამლიერებელი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
24	საბურავების რაოდენობა	არანაკლებ 6+1	6+1
25	დაკიდების სისტემა წინა	რესორული ან პნევმატური	პარაბოლური რესორები
26	დაკიდების სისტემა უკანა	რესორული ან პნევმატური	პარაბოლური რესორები
	კაბინის ტექნიკური მახასიათებლები		
27	მგზავრთა ადგილების რაოდენობა (მძოლის ჩათვლით)	არანაკლებ 2	3 (მძოლის ჩათვლით)
28	სალონის გათბობა და კონდიცირება.	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
29	ელექტრო შუშის ამწევი მექანიზმი ორივე კარზე	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
30	რეგულირებადი საჭე	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
31	კარების ცენტრალური ჩამკეტი დისტანციური მართვით	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
	ნაგავმწნეხი ძარის (დგარი) ტექნიკური მახასიათებლები		
32	მოცულობა (net capacity - კუბური მეტრი)	არანაკლენ 15.5 - არაუმეტეს 16.5	16 კუბური მეტრი
33	კონტეინერის ჩასაცლელი სათავსოს მოცულობა (მეტრ კუბი)	არანაკლებ 1 - არაუმეტეს 2	1,5 კუბური მეტრი
34	ნაგავმზიდის უკან ორივე მხარეს სახელურები და მტვირთავი მუშის დასადგომი ბაქანი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
35	დაწნეხვის კოეფიციენტი	არანაკლებ 1:3	1 : 6
36	გვერდების სისქე (მმ)	არანაკლებ 4	4 მმ
37	ძირის სისქე (მმ)	არანაკლებ 5	5 მმ

38	მუშა მოწყობილობის სტრუქტურა: ნიჩაბი, ჩამტვირთავი, რომლებიც ფუნქციონირებენ ჰიდრავლიკური ცილინდრების მეშვეობით; ჰიდრავლიკური სისტემა ფუნქციონირებს ჰიდრავლიკური ტუმბოს მეშვეობით, რომელიც ირთვება გადაცემათა კოლოფზე დამონტაჟებული ძალის ამრთმევი კოლოფის საშუალებით	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
39	ნაგავშემკრები ძარის ჰიდროსისტემის მართვა უნდა მოხდეს ავტომატურად, კერძოდ: წნეხმა და ნიჩაბმა სრული ციკლი უნდა შეასრულოს ავტომატურ რეჟიმში. ეს უნდა განხორციელდეს კომბინირებული ელექტროჰიდრავლიკური სისტემის მეშვეობით. ძარაზე უკანა მხარეს დამონტაჟებული უნდა ჰქონდეს როგორც ღილაკებიანი მართვის ბლოკი ასევე ჰიდრავლიკური ბერკეტები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება ოპერირება. ღილაკებიანი წნეხი იმუშავებს ავტომატურად, ხოლო ჰიდრავლიკური ბერკეტებით მართვა განხორციელდება მექანიკურად. ნაგავშემკრების დაცლა მოხდება მწნეხავი ფილის საშუალებით რომელიც მოქმედებაში მოჰყავს ტელესკოპურ ჰიდრავლიკურ ცილინდრს	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
40	ნაგავშემკრები ძარის მასალა	ST52 ან მისი ექვივალენტი	ST52
41	მწნეხავი ნიჩაბის, ჩამტვირთველის, კონტეინერის ჩასაცლელი სათავსოს ძირის, წყეხის მიმმართველი ლინდაგების, ნარჩენების დამცლელი ფილის მასალა	ST52 ან მისი ექვივალენტი	ST52
42	კონტეინერის დამცლელი სისტემის სპეციალური შემაერთებლები, რათა კონტეინერის ჩამოდგომის მომენტში არ მოხდეს მისი დახეთქება მიწის ზედაპირზე (მექანიკურად ან ავტომატურად ოპერირებადი)	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
	ნაგავმზიდის დამატებითი აღჭურვილობა		
43	საგანგებო ციმციმა	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
44	სდექ მაშუქები	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
45	ავარიული გათიშვის ღილაკები	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
46	უკანა ტალახდამცავი ფრთები	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
47	სათადარიგო ნაწილებისა და გამოყენების სახელმძღვანელო ინგლისურ ან/და რუსულ ენებზე	უნდა გააჩნდეს	გააჩნია (ინგლისურ ენაზე)
48	ჰიდრავლიკური დომკრატი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
49	საბურავის მოსახსნელი ქანჩი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
50	ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო ქანჩ-გასაღებების ნაკრები	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
51	ცეცხლმაქრი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
52	პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
53	კრუიზ კონტროლი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
54	სამუხრუჭე დისკი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
55	ელექტრონული სტაბილიზაციის კონტროლი (ESP) ან (ESC)	უნდა გააჩნდეს	გააჩნია ESP
56	ელექტრო, გათბობადი გვერდითი სარკეები	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
57	გათბობადი, "პნევმატური" მძღოლის სავარძელი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
58	მუხრუჭის ცვეთის სენსორი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
59	იმობილაიზერი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია

60	წინა სანისლე ფარები	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
61	ციფრული ტაქოგრაფი	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
62	სათადარიგო საბურავი დისკით	უნდა გააჩნდეს	გააჩნია
	საგარანტიო პირობა		
63	**გარანტია**	1 წელი სრულ ნაგავმზიდზე, არანაკლებ 2 წელი ან 200000 კილომეტრი (რომელიც უფრო ადრე დადგება) ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდები, გადაცემათა კოლოფი) და ნაგავშემკრები კონტეინერის ამწევ ჰიდრავლიკურ მექანიზმე. გარანტია არ ვრცელდება ცვეთად ნაწილებზე (მაგალითად: ზეთი, ფილტრები, ხუნდები, შუშის საწმენდი ჯაგრისები,	1 წელი სრულ ნაგავმზიდზე, 2 წელი ან 200000 კილომეტრი (რომელიც უფრო ადრე დადგება) ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდები, გადაცემათა კოლოფი) და ნაგავშემკრები კონტეინერის ამწევ ჰიდრავლიკურ მექანიზმე. გარანტია არ ვრცელდება ცვეთად ნაწილებზე (მაგალითად: ზეთი, ფილტრები, ხუნდები, შუშის საწმენდი ჯაგრისები,

GT GROUP LLC

Digitally signed by GT GROUP LLC
Date: 2023.08.22 17:11:42 +04'00'

216 David Agmashen-
ebeli Alley Tbilisi,
Georgia

+995 322 740 440
info@gtgroup.ge
www.gtgroup.ge

GTG 23/327

25/09/2023

თვითმმართველი ერთეული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სატენდერო კომისიას:

(ტენდერი# CON230000311)

წარმოგიდგენთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 2,5%-იან გარანტიას (# PE1057622-23, 9,904.50 ლარზე) გაცემულს სს „საქართველოს ბანკი"-ს მიერ და გამოვთქვამთ მზადყოფნას ხელშეკრულების გაფორმებაზე.

პატივისცემით

დირექტორი

თემურ უსტიაშვილი

დანართი: საბანკო გარანტია PE1057622-23.

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება (თეთრი სიის წევრობაზე)

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE1057622-23

საქართველო

25 სექტემბერი 2023 წელი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი ს:კ 204378869 (შემდგომში „გარანტი")
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ჯი-თი გრუპ (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო ნომერი: 200119923
პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N216
ბენეფიციარი: თვითმმართველი ერთეული წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 221274546
ბენეფიციარის მისამართი:
საგარანტიო თანხა: 9,904.50 (ცხრა ათას ცხრაას ოთხი და 50/100) ლარი
გარანტიის მოქმედების ვადა:08 ნოემბერი 2024 წელი
ტენდერის უნიკალური ნომერი: CON230000311

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა ნაგავმზიდის მიწოდების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 9,904.50 (ცხრა ათას ცხრაას ოთხი და 50/100) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის, გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის საჭიროები გარეშე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 08 ნოემბერი 2024 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ.# 29 ა, თბილისი 0160, საქართველო, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის სტრუქტურული დაფინანსების დეპარტამენტის საყურადღებოდ ან/და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერითა და შტამპით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: documents@bog.ge (იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, მისაღებია მხოლოდ კვალიფიციური ელექტრონული შტამპი) თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით;

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე, საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

თამარ ზურაბიშვილი, ადგილობრივი გარანტიების უფროსი მენეჯერი

სს „საქართველოს ბანკი"
ს/კ: 204378869
გაგარინის ქ. №29ᵃ
თბილისი 0160, საქართველო

JSC Bank of Georgia
I/D: 204378869
29ᴬ Gagarini Str.,
Tbilisi 0160, Georgia

documents@bog.ge | trade_finance@bog.ge | (0 32) 2 444 444

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080186742781923

№ 1577

23 / მაისი / 2023 წ.

შპს „ჯი-თი გრუპის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 20 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „ჯი-თი გრუპის“ (ს/ნ: 200119923) 2023 წლის 20 აპრილის №GTG23/80 მომართვა (რეგისტრაციის №3421), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2023 წლის 22 მაისს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2023 წლის 22 მაისის № GTG23/106 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 4319), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2023 წლის 19 მაისის № 1742 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ჯი-თი გრუპის“ (ს/ნ: 200119923) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2023 წლის 9 ივნისს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ჯი-თი გრუპს“ (ს/ნ: 200119923) 2023 წლის 10 ივნისიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაზა ნანობაშვილი